# სოციალური პედიატრია

№39
ივნისი

ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის, და ბავშვთა ახალი კლინიკის გაზეთი 2016წ.

ყველანი ერთად ახალი ძლიერი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

## გილოცავთ დაცვის დღეს 1 ივნისს!




ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით

1.27.06.08
20.12.08
23.12.08
01.06.09
19.12.09
01.06.10; 03.12.10 01.06.11; 23.12.11
01.06.12; 21.12.12; 1-4.06.13; 17-21.12.13;
1-2.06.14; 27-28.12.14; 1.06.15; 11-12.12.15

**23.04.99 01.06.2000**
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში“ სიმპოზიუმი №1 №2

**20.05.99 01.06.2000**
„ორთოპედიული სკოლა“
სიმპოზიუმი №1 №2

**17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003**
„მუკოვისციდოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები“

**01.06.2000-2001-2002-2003-2004 22.12.2007**
„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია“

**28.02.2001**
„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედია-ტრიაში“

**01.06.2001**
„ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა“
სიმპოზიუმი №1

**01.06.2001 30.05.2002 01.06.2003**
„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
სიმპოზიუმი №1 №2 №3

**13.02.2002**
„ადამიანის გენომის პროექტი“

**10.03.2002**
ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის“ პრეზენტაცია

**5.11.2002 28.11.2002**
ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ჟვანია“

**7.11.2002**
„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები“

**2.06.2008 - 01.06.2010**
საქართველოს მედდათა I კონგრესი , II კონგრესი

**25.XII.98**
I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა“

**01.VI.99-9.IX.2005**
I-II საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია“

**25.XII.99**
III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა“

XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

**01.VI.2000 01.06.2001 30.05.2002**
IV-V-VI(XX) კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი

**27.III.2001**
შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა“

**04.09.2002**
შეხვედრა „გლობალური მარშის“ წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან

**01.06.2001 06-07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005**
VII-VIII-IX-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები“

**30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002**
„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში“
სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9

**1.06.2003-1.06.2004**
I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)

**19.12.2003 02.16.2008 01.06.2012**
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II-III-IV კონფერენცია

**22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007;**
**2.06.2008; 20.12.2008; 1.06.2009; 1.06.2010; 09.12.2010; 01.06.2011; 23.12.2011; 01.06.2012; 21.12.2012; 01.06.2013; 1.06.2014; 27-28.12.2014; 1.06.2015**
სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: XII-XIII-XV-XVI-XVII-XVIII-XIX-XX
საერთაშორისო კონფერენცია: XXI-XXII-XXIII-XXIV-XXV-XXVI-XXVII-XXIX-XXX-XXXI-XXXII-XXXIII-XXXIV

27.12.14; 11.12.15
ინტეგრალური მეცნიერება — ვალეოლოგია და სანოლოგია: I-II

## XXXVI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

## XXXVI SCIENTIFIC CONFERENCE

**თბილისი 1-4.06.2016 TBILISI**

(კონფერენცია ჩატარდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის I სართული სადისერტაციო დარბაზი. ვაჟა-ფშაველას 33 (თბილისი))

## სოციალური პედიატრია და ჯანმრთელობა

## SOCIAL PEDIATRY AND CHILD`S HEALTH

## ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა

## XXI საუკუნის პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს







# XXXV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
# XXXV SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE



## „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"
## "Children must have right to be defended since embryo"
## ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეცნიერების გზით
## Children's Security Through Science
## სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
## Social Pediatry and Child's Health

## XXI საუკუნე – ინტეგრალური მეცნიერება – ვალეოლოგია&სანოლოგია(II)
## XXI Century – Integral science – Valeology&Sanology(II)

## (პრეს-რელიზი)













2015 წლის 11 დეკემბერს **15.00-20. 00 იმუშავა** XXXV საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის ჩატარებაშიც ტრადიციულად მონაწილეობდა **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერების აკადემიის, ორგანიზაცია** – International fund the world security and child-**ის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, სამედიცინოკორპორაციაევექსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითთმართველობის** და არაერთი სხვა პარტნიორი ორგანიზაცია: 15.15**კონფერენციის გახსნა** Opening of Conference

1. **მისალმებანი** Opening Speech

2. **„ტრადიცია გრძელდება": მილოცვები-გახსენება – დაჯილდოება: ქალბატონ ნინო ტატიშვილის ბრწყინვალების ვარსკვლავით დაჯილდოება რევმატოლოგიაში შეტანილი დიდი წვლილის გამო.**

**"Tradition Continues" – Congratulations –Reminding – Rewarding: Rewarding of Nino Tatishvili with a star of honor for his great contribution in rheumatology.**

**3. პროფესორი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე 90 წლის**

**– წიგნი 'ორსულთა, მეძუძურ ქალთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვება"(ავ.კვეზერელი–კოპაძე,თ.მიქელაძე, დ რეხვიაშვილი)**

**–/2015 წლის ვიდეოკოლაჟი/**

**Professor AvtandilKvezereli-Kopadze – 90 years with us.**

**Book 'Nutrition of pregnant, infant childrenand breast-feeding mothers" (Authors: A.Kvezereli-Kopadze, T.Mikeladze, D.Rekhviashvili)**

**Video collage of 2015**

კონფერენციაზე „ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის" **„ქების სიგელი"** გადაეცა ჩვენს სასიქადულო და უსაყვარლეს პროფესორ ბატონ ავთანდილ კვეზერელ-კოპაძეს საიუბილეო 90 წელთან დაკავშირებით, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის **„ქების სიგელი"** გადაეცა ჩხოროწყუს რაიონის ოჯახის ექიმს ქეთევან ქებურიას,ხოლო **„მადლიერების სიგელი"** გადაეცა ღვაწლმოსილი პედიატრის ბატონ რეზო ლაბაძის ოჯახს. კონფერენციაზე შედგა –**„საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე" პროექტის** პრეზენტაცია – **მედ. დოქტ. ნ. თოთაძე და –„ჩანასახიდან ბავშვსუფლება აქვს იყოს დაცული" – სიცოცხლის გადასარჩენად – ფილმის პრეზენტაცია ა.სარჯველაძე**

რაც შეეხებაკონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკულმიმდინარეობას: **ჩატარდა ოთხი პლენარული სხდომა.**

მასზე წარმოდგენილი მოხსენებებში აქცენტი იყო დასმული და გამახვილებული თანამედროვე პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე;როგორც აღვნიშნეთ იმუშავა ოთხმა სხდომამ (www.sppf.info): **ტრადიციულად**, კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია.

ბოლოს გაიმართა დისპუტი, რომლის დროსაც შეჯამდა ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, ასევე, განიხილეს მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები, გაიმართა აქტუალურ საკითხებზე კამათი, სადაც გამომსვლელებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები. ბოლოს კი კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები:

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ 2016-2017 წლებში მეტად აქტიურად გააგრძელოს თავისი საორგანიზაციო საქმიანობა.

2017 **წელს** მომზადდეს საქართველოს ექთანთა IV კონფერენცია.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის სტრატეგიული გეგმა გადიოდეს მასში ახალგაზრდობის მეცნიერებაში ჩართვის მკვეთრი მატებისაკენ და დაევალოს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ახალგაზრდულ დეპარტმენტს მეტად განახორციელოს აქტიური მუშაობა შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით

გაზეთის „სოციალური პედიატრია" და ჟურნალების „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრიის" და „ბავშვთა კარდიოლოგიის" ახალი ნომრების-ის და www.esgns.org ვებ.გვერდზე განთავსებისა და მათგან რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტრატეგიის გააქტივება.

**5.არასამთავრობო ორგანიზაციების სამთავრობოებთან ერთად ერთობლივად დაწესებული მედიცინაში „ოქროს სტეტოსკოპისა" და „ოქროს ლანცეტის" ვარსკვლავის მფლობელი დასახელდეს (თუ ასეთი კანდიდატურა შეირჩევა მსურველთაგან) შექმნილი კომისიის მიერ არაუგვიანეს 2016 წ-ის 1 მაისისა. 6.2016-17 წწ-ში გააქტიურდეს მედიცინის, სპორტისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვისათვის განსახორციელებელიშესაბამისი ღონისძიებანი-ვალეოლოგიის ფარგლებში.**

**7. 2016-17წწ-ში განხორციელდეს ინტენსიურად პედიატრთა პროფესიული გადამზადების მონიტორინგი.**

**8. ინტენსიური მუშაობა წარიმართოს ინტეგრალური მეცნიერებათა – ვალეოლოგიისაა და სანოლოგიის საქართველოში სათანადო განვითარებისათვის.**

**კონფერენციაზე დარიგდა:**

**–** გაზეთი **„სოციალური პედიატრია" და** ჟურნალები –**„ბავშვთა კარდიოლოგია",**

**„სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია"**

**– დისკზე ჩაწერილი ლექციები**

**კონფერენციის ფარგლებში, მედიცინის სხვადასხვა დარგის აღიარებულმა კლინიცისტებმა ათობით პატარა პაციენტი უფასოდ. გასინჯეს თბილისში. გაისინჯა 50-ზე მეტი ბავშვი, ხოლო ჩხოროწყუს რაიონში 1300-მეტი ვიზიტორი დაფიქსირდა.**

**დიდი მადლობა ყველა აქტიურ მონაწილეს.**













# აუცილებელი პროგრამები

## პროექტი: საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“

***ბავშვთა შიმშილი და სიმსუქნე მართლაც რომ ერთი მონეტის ორი მხარეა. ორივე მათგანი ჩვენს ბავშვებს ართმევს ენერგიას, ძალას და გამძლეობას, რომელიც მათ სჭირდებათ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. მეორე მხრივ კი, ეს ჩვენს ქვეყანას მათი სახით ასეთ პერსპექტიულ პოტენციალს ართმევს.”***

***აშშ-ს პირველი ლედი მიშელ ობამა***

პროექტი **„საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“ – ბავშვების არასრულფასოვანი კვების გარეშე \ რომლის პრეზენტაცია შედგა 8.10.2015,** ინიციატივა ეკუთვნის სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდს (www.sppf.info), რომლის საპატიო თავმჯდომარე 2015 წლის 4 ივნისს გახდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II, თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციას.\.

ყოველი ახალშობილი უნიკალურია და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. თითოეული მათგანის ნორმალური ზრდა-განვითარების აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პირობას სრულფასოვანი კვება წარმოადგენს. \ყველა ასკობრივ პერიოდში\. განსაკუთრებულია სწორი ჯანსაღი კვების როლი ადრეულ ასაკში \0-1წელი\ როდესაც ინტესიურია ზრდის პროცესი, ქსოვილებისა და ორგანოთა სისტემების ფუნქციური და მორფოლოგიური სრულყოფა, ინტელექტის განვითარება. სტატისტიკის მიხედვით ბოლო წლების მონაცემებით საქართველოში ყოველწლიურად 60000 ახალშობილი იბადება, 2015 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით მათი რიცხვი 28000 ათასამდეა, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სოციალურ–ეკონომიურ მდგომარეობას და სოციალური პედიატრიის ფონდის მიერ \საქველმოქმედო აქციის ფარგლებში\ გასინჯვების შედეგად დანახულ პრობლემებს სამედიცინო კუთხით\ განსაკუთრებით რეგიონებში\ საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა შიმშილი – მათი არასრულფასოვანი კვება.

**პროექტის ითვალისწინებდა:** საქართველოში 0-6 თვემდე ექსკლუზიური ძუძუთი კვების ხელშეწყობას და 6-12 თვის ასაკის იმ ბავშვებისათვის, რომლთა მშობლებსაც არ ძალუძთ მათი სრულფასოვან კვებას, დამატებითი საკვებით უზრუნველყოფას.

**კერძოდ: 1**.მოსამზადებელი ეტაპის განხორციელებას და სამიზნე ჯგუფების დაკომპლექტებას (ჰემოფილიით და ტუბერკულოზით დაავადებულთა ოჯახები, სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულთა ჩვილი ბავშვები **-სულ 275**)., სტუდენტები – მათ შორის მარტოხელა დედები,

2. შესაბამისად ოჯახის ექიმთან ერთად ბავშვთა კვებითი პრობლემის შეფასება და აქტუალობიდან გამომდინარე 6-12 თვის ბავშვების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.

**3**. მშობლებისა და სამედიცინო პერსონალის ტრენინგს.

**4**. პროექტის მონიტორინგს.

**პროექტის პირველი ეტაპზე იყო:**

**1**. საქართველოში არსებულ ბავშვთა კვების ექსკლუზიურ დისტრიბუტორ ორგანიზაციების მიერ \9 ორგანიზაცია\ საქველმოქმედო ვალდებულებების ფარგლებში (შესაბამისი სადისტრიბუტორო საკვების) ყოველთვიურად 6 თვის მანძილზე (ათვლა 8.10.2015) გადასცეს ბავშვთა კვება, სოციალური პედიატრიის ფონდს.\მათი საქველმოქმედო შესაძლებლობის გათვალისწინებით\ საკვები განკუთვნილი 6თვე-12 თვე ასაკის ბავშვებისათვის.

**2**. სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მიერ საქველმოქმედო ვალდებულებების ფარგლებში, შესაბამისი სადისტრიბუტორო საკვების რაოდენობის გათვალისწინებით განსაზღვრა დასახმარებელი **ოჯახების რაოდენობის– სამიზნე ჯგუფების, მათთვის საკვების გადაცემა, რეკომენდაცია მშობლებს სწორი, სრულფასოვანი კვების აუცილებლობაზე და შესაბამისი ოჯახის ექიმთან ერთად მონიტორინგი ბავშვის სწორი კვების განხორციელება.**

**შესაბამისად,**

დაკომპლექტდა სამიზნე ჯგუფები>

ჰემოფილიით დაავედებული ბავშვები – 2 ბავშვი.

ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვები – 5 ბავშვი.

სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულთა ჩვილი ბავშვები – **40-მდე ოჯახი(ქ.გორში კარალეთისა და ვერხვების მაცხოვრებლები).**







სტუდენტი – 2

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის \თავჯდომარე პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი,პროექტის საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე, საქართველო ბავშვების არასრულფასოვანი კვების გარეშე\ დირექტორის მედიცინის დოქტორი ნინო თოთაძე\ არასამთავრობო ორგანიზაცია „სიცოცხლის გადასარჩენად“ \სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სტუდენტები – სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლები\ მიერ მიერ 9.11.2015 დან პერიოდულად თვეში ერჯერ განხორციელდა საკვები პროდუქტის გადაცემა –

საქართველოს ჰემოფილიისა დადონორების ასოციაციას, პრეზიდენტი – რომან ხომასურიძე – 2 პაციენტი

2. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრს გენერალური დირექტორი– ზაზა ავალიანი–5 პაციენტი.

3.აქცია გაგრძელდა გორის ტერიტორიაზე კარალეთისა და ვერხვების დასახლებაში, სამხრეთ ოსეთის. ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თამაზ ბესტაევის ხელშეწყობით, სადაც დახმარება გაეწია 40 ბავშვს პროექტის ფარგლებში საკვების გადაცემისა და დედებთან პირველადი კონსულტაციის სახით.

დღევანდელი რესურსით შესაზლებელი იყო მსგავსი დახმარების განხორციელება არჩეულ სამიზნე ჯგუფში შემავალი ბავშვებისათვის სულ–47 ოჯახი. 6 თვე.

4. დამატებით 5 ბავშვი, \ფინანსური პრობლემებით ახალგაზრდა მშობლები–სტუდენტები\,რომელთა გამოვლენასა და ასევე პროექტის მონიტორინგის ხელშემწყობი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „სიცოცხლის გადასარჩენად“\სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სტუდენტები–სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლები.



იმედს ვიტოვებთ შესაძლებლობა მოგვეცემა უახლოეს პერიოდში სრულად გავუწიოთ დახმარება სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულთა ჩვილ ბავშვებს**-სულ 275**), ხოლო შემდეგ მოვიცვათ საქართველოს ყველა რეგიონი.

მადლობთ რომ ყველანი ერთად ვართ.

საკონტაქტოა: 599 76 84 77 და 593 33 71 54

info@sppf.info nino.totadze@yahoo.com

## პროექტი ზრუნვა ბავშვთა სრულფასოვან კვებაზე

## (CARE OF CHILDRENS PERFECT NUTRITION)

ჯანსაღი, ჯანმრთელი ბავშვი საწინდარია ქვეყნის ნათელი მომავლისა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მიღებულია სოციალურად დაუცველ ბავშვთა უფლებათა დაცვის დეკლარაცია, საიდანაც ჩვენ პროექტთან კვეთაში განსაკუთრებით გვაინტერესებს სამი:

ბავშვს აქვს უფლება მოექცეს სახელმწიფოს დაცვისა და ზრუნვის ქვეშ, თუ ყოველივე ეს არ გააჩნია მშობლების მხრიდან.

ბავშვს აქვს უფლება მიიღოს სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება.

ბავშვს აქვს უფლება, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს დახმარება სახელმწიფოსაგან.

ბავშვთა სიჯანსაღისა და დაცულობის პირველი პირობაა მათი ბაზისური, ვიტალური მოთხოვნილებების სრულფასოვანი დაკმაყოფილება. მხედველობაში გვაქვს კვება. რა არის სრულფასოვანი კვება სამედიცინო გაგებით, ამაზე მსჯელობა მედიკოსთა წრეებში უხერხულიც კია. რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებულობას ამ საკითხში ჯერაც სამუშაო ბევრი გვაქვს.

ჩვენ გადავწყვიტეთ ვიკვლიოთ საქართველოში სოციალურად დაუცველი ბავშვების რაოდენობა. რათა გავარკვიოთ, რამდენადაა საფრთხის ქვეშ ნათელი მომავალი. როგორც უკვე ავღნიშნეთ და გაცხადებულია ეს სოციალურად დაუცველ ბავშვთა უფლებათა დაცვის დეკლარაციაში, „ბავშვს უფლება აქვს მოექცეს სახელმწიფოს დაცვისა და ზრუნვის ქვეშ, თუ ყოველივე ეს არ გააჩნია მშობლის მხრიდან“. ჩვენ სწორედ ამ უფლების შესანარჩუნებლად წამოვიწყეთ ეს ღონისძიება – მშიერი ბავშვის რაოდენობის დადგენა ქვეყნის მასშტაბით.

ორგანიზაცია – **„სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი“ პროექტით** – „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“ უკვე რახანია იცავს და ზურნავს შიმშილის პირა მყოფ ბავშვებს, რომლენიც მშობლების მხრიდან ფიზიკურად ვერ ღებულობენ სათანადო უზრუნველყოფას.

დღეიდან ორგანიზაციის საქმიანობა უფრო მასშტაბური ხდება. ჩვენ ვგეგმავთ ხანგრძლივვადიან შორსმიმავალ პროექტს „ზურნვა ბავშვის სრულფასოვან კევბაზე“, რომლის ფარგლებშიც უნდა დადგინდეს:

რამდენი მშიერი ბავშვია სრულიად საქართველოში?

რა ღონისძიებებია გასატარებელი არსებული მდგომარეობის სარეაბილიტაციოდ.

უნდა გაიმართოს ექსპერტთა შორის დისკუსიები, შედგეს მრგვალი მაგიდა და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები.

ორგანიზაცია – **„სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი“ პროექტით** – „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“,ხელშეკრულებას აფორმებს „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებასთან“ და უკვეთავს მას თავდაპირველად თბილისის მასშტაბით, ხოლო შემდგომ სრულიად საქართველოს მასშტაბით სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარებას.

საწყის ეტაპზე კვლევა უნდა იყოს რაოდენობრივი ხასიათის. სამიზნე ჯგუფებში მოექცევა სოცილურად დაუცველი ფენები, სადაც ჰყავთ ერთი ან ერთზე მეტი ბავშვი. კვლევის პარალელურად შევეცდებით მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს „ბავშვთა სრულფასოვანი კვება“ და „შიმშილი“ სამედიცინო ენით. რესპოდენტებს დაურიგდებათ საკითხთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციით გაჯერებული სპეციალური ბუკლეტები, ჩაუტარდებათ ფოკუს-ჯგუფებად შეკებილებს სემინარები...

## პროექტი

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა მკველევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“ წარმოდგენილია გამოცდილი სოციოლოგთა გუნდით, ისეთებით, როგორიცაა სოციოლოგიის დოქტორი, შორენა კორტავა; სოციოლოგიის მაგისტრი, ირაკლი კალანდაძე; ახალგაზრდა და პერსპექტიული სოციოლოგი, სოსო მეზვრიშვილი. ისინი წლების მანძილზე თბილისისა და საქართველოს მასშტაბით ატარებენ სიღრმისეულ სოციოლოგიურ კვლევებს, მათ შორის რაოდე-

*გაგრძელება მე-9 გვ.*



# ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია

## ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია აქტიურდება

2015 წელი ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს დარგობრივმა აკადემიებმა

რედაქცია ულოცავს ბავშვთა დაცვის დღეს 1 ივნისს და უსურვებს ნაყოფიერ შემოქმედებას საქართველოს უკეთესი მომავლისათვის



საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF NATURAL SCIENCES 2014

პრეზიდენტი პაატა კერვალიშვილი



პროგრამის ხელმძღვანელი, ფერარელი პროფესორი ფრანჩესკო პედრიელი და პროფესორი პაატა კერვალიშვილი





პროფესორი პაატა კერვალიშვილი პროგრამის ოფისში და რომის საპიენცას უნივერსიტეტში

## ანტიკური სურათებისა და ფრესკების კოპირების ნანომეთოდები ქართველი ინჟინერ-ფიზიკოსების მონაწილეობა იტალიურ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრამაში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დამუშავებულმა კოპირებისა და ბეჭდვის ახალმა 3D ტექნოლოგიებმა სერიოზული გარღვევა შექმნეს ტექნიკისა და მრეწველობის მრავალ დარგში, და მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და დაცვის მიმართულებით. 3D სკანირების ოპტიკურმა მეთოდებმა შესაძლებელი გახადა მხატვრული ტილოებისა და ფრესკების ასლების ფოტოგრაფია და მათი შემდგომი აღდგენა.

იტალიელი მეცნიერების (ფიზიკოსების, არქიტექტორების, და არტ-დიზაინერების) ჯგუფი ფერარას, რომის, ბოლონიის უნივერსიტეტებიდან აქტიურად მუშობს ანტიკური და რენესანსის ეპოქის მხატვრული ხელოვნების ნიმუშების მოლეკულური დონის ასლების შექმნაზე.

ამ მეტად საინტერესო პროგრამაში შარშან შემოდგომიდან სირიოზულად ჩაერთო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერ-ფიზიკოსების ჯგუფი, რომელიც იტალიელ კოლეგებთან ერთად ამუშავებს პროგრამის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების საკითხებს: ლაზერული სკანირებისა და სპექტროსკოპიის მეთოდების გამოყენებას ფერების ზუსტი დადგენისათვის, 3D პრინტერულ მოწყობილობებში ნანოფხვნილების (მარმარილო, ქვიშა, სხვა მასალები) გამოყენების საკითხს, მატრიცული მასალების თავსებადობისა და დაძველების ამოცანებს და სხვა.

## ახალგაზრდული ფრთა საერთაშორისო ფორუმებზე და კვლევით ლაბორატორიებში






### ახალგაზრდებთან მუშაობა უმნიშვნელოვანესია

უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდებთან პედაგოგიური პერსონალის ბოლომდე დახარჯვა და მათი სამეცნიერო მიმართულებაში სწორი ორიენტაციის მართვა დღევანდელ დღეს უმნიშვნელოვანესია. ასეთ რიცხვს ეკუთვნის თსსუ-ის პროფესორი ბატონი ზურაბ კაკაბაძე, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად კიდევ არაერთ ახალ სიტყვას იტყვის საქართველოდან მედიცინის მსოფლიოს დიდ ორბიტაზე.

უმნიშვნელოვანესია ღვაწლმოსილი პედიატრის პროფესორ ბატონ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის ახალგაზრდებისადმი დიდი სითბოთი ურთიერთობა.



### მედიკოს სტუდენტთა ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის (IFMSA) გენერალური ასამბლეა მალტაში

2016, 20 APRIL

2016 წლის 1 მარტიდან 8 მარტის ჩათვლით, საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (GMSA) წარმომადგენლები: დავით ჩახუნაშვილი, ალექსანდრე გვენეტაძე და ნიკოლოზ გვაზავა იმყოფებოდნენ მედიკოს სტუდენტთა ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის (IFMSA) გენერალურ ასამბლეაზე მალტაში. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია მედიკოს სტუდენტთა ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის წევრი გახდა.

საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტი მალტაში საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, მათ ღირსეულად წარადგინეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ყველა არსებულ კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებაში. საერთაშორისო სტუდენტთა საზოგადოებას გააცნეს საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობები, გააღრმავეს ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის წევრ ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან.












## საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია

## GEORGIAN ACADEMY OF HUMANITARIAN AND ARTES SCIENCES



*პრეზიდენტი დემურ ბაშელეიშვილი*
*president DEMUR BASHELEISHVILI*


## ბავშვთა ვალეოლოგია

# ადამიანის ჯანმრთელობა ახალშობილობიდან იწყება

## (ვალეოლოგიური განათლება ბავშვის ადრეული ასაკიდან იწყება)

დღეს გადასინჯვას მოითხოვს კლასიკური პედიატრიის მრავალი რეკომენდაცია. ისინი ნაწილობრივად არ შეესაბამება სხვადასხვა ასაკობრივი პერიოდის ბავშვთა ფიზიოლოგიის სპეციფიკურ თავისებურებებს. განსაკუთრებით ეს ეხება ნორჩების ჩართვას აქტიურ მოძრაობაში. ადრეული ასაკის ბავშვებში. გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ზემოქმედების, დაწყების ვადებისა და ჩატარების მეთოდიკის შესახებ არსებობს მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება. ზოგიერთი ავტორის მონაცემით, გამაჯანსაღებელი ფიზიკური ვარჯიშებისა და მასაჟის დანიშვნის ოპტიმალური დროა 1,5–2 თვის ასაკი. ეს მათი განმარტებით, ბავშვის ორგანიზმის ანატომიურ–ფიზიოლოგიური თავისებურებებით არის განპირობებული. ზოგიერთი ავტორის რეკომენდაციით, ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება მიზანშეწონილია უფრო ადრეულ სტადიაზე – 2-3 კვირის ასაკიდან და ცალკეულ შემთხვევაში – სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე. ამ უკანასკნელთა მტკიცებით, სიცოცხლის პირველივე დღეებში ბავშვისათვის აუცილებელია მოძრაობა, ფიზიკური ვარჯიში, რაც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში არსებული ბიოენერგეტიკული რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას და განაპირობებს ბავშვის ორგანიზმის მაღალ იმუნობიოლოგიურ მდგრადობას სხვადასხვა დაავადების მიმართ.

სადღეისოდ ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ მოზრდილთა მრავალი ქრონიკული დაავადება იწყება ბავშვობის ასაკში და მათ მიმართ განწყობის ობიექტური ნიშნები შეიძლება ახალშობილობის პერიოდშიც გამომჟღავნდეს.

ადამიანის დაბადებისთანავე, მის ორგანიზმში მოქმედებას იწყებს ორი საპირისპირო ფიზიოლოგიური პროცესი: დაავადება (პათოლოგიური რეაქცია) და ჯანმრთელობა (დაცვით-კომპენსატორული რეაქცია). ორი კვერცხუჯრედის შეხვედრის მომენტში საძირკველი ეყრება მომავალ ორგანიზმში 'სუსტ ადგილებს", რაც განპირობებულია მამისა და დედის, ბებიისა და ბაბუის, სხვა დანარჩენი წინაპრების მემკვიდრეობითობაზე

მომავალი ბავშვის დაავადებები დამოკიდებულია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ორსულობა და მშობიარობის პროცესი. ყველა ამან, შესაძლებელია გამოიწვიოს ჩვილის ორგანიზმში სერიოზული ფუნქციური გადახრები. ამიტომ, მოევლინებათუარაბავშვიდღისსინათლეს, უკვე მას ჩამოყალიბებული აქვს თავისი დაავადებების პროგრამა. თუმცა ყოველივეეს, არც თუ ისე პესიმისტურად გამოიყურება. დაავადების შეძენესთან ერთად, საფუძველი ეყრება კომპენსატორული რეაქციების მექანიზმს, რომელიც ეხმარება ორგანიზმს სიცოცხლის გადარჩენაში, მიუხედავად იმისა, გააჩნია თუარა მას 'სუსტიადგილები".

მედიცინა – მეცნიერებაა დაავადებებზე, მათგამომწვევმიზეზებზე და საბოლოო შედეგებზე. ვალეოლოგია კი – მეცნიერებაა ადამიანის ინდივიდუალური ჯანმრთელობაზე, მის შენარჩუნებაზე და განმტკიცებაზე. თუ დაავადების არსი არავისთვის ეჭვს არ იწვევს, მეცნიერული თვალთახედვით გარკვეულ ახსნას მოითხოვს ტერმინის „ვალეოლოგია" და მისი არსის განმარტება. ვალეოლოგია არ არის ნოზოლოგიური მედიცინის ალტერნატივა, არამედ წარმოადგენს მის დამატებას, საერთოდ კი მედიცინის საზღვრების გაფართოებას; ვალეოლოგიის ძირითადი მიზანია ადამიანის თანდაყოლილი დაცვით კომპენსატორული მექანიზმებისა და ენერგეტიკული რეზერვების მაქსიმალური რეალიზაციაა, მათი შენარჩუნება, აგრეთვე შესაძლოა მაღალ დონეზე განახორციელოს გარე და შიდა გარემოსთან ადაპტაცია. მისი გაერთიანება დაავადებათა თეორიულ-პრაქტიკულ სწავლებასთან (პათოლოგიასთან) და ადამიანის ყოფითი ცხოვრების გარემო პირობებთან (ჰიგიენასთან) კომპლექსში, ვალეოლოგია შეიძლება გახდეს მედიცინის ზოგადი თეორიის დამუშავებისა და პრაქტიკული ჯანდაცვის განვითარების ახალ სტრატეგიად.

ადამიანის, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობა მიზანშეწონილია განხილული იქნეს დინამიკურ ასპექტში (ე.ი. პროცესში, რომელიც ცვალებადია ადამიანის სიცოცხლის მანძილზე). ის ბევრად დამოკიდებულია ასაკობრივ ფიზიოლოგიურ ციკლებზე, რასაც გადის ადამიანის ორგანიზმი თავისი განვითარების მანძილზე. ორგანიზმის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს მავნე ფაქტორების ზემოქმედებას განაპირობებს ადაპტიური მექანიზმების გენეტიკური თავისებურებები და მათი ცვლილებების ხასიათი.თანახმად თანამედროვე შეხედულებისა, განსაკუთრებულ დიდ როლს თამაშობს ადრეული განვითარების პერიოდი. ამ ეტაპზე ფორმირებული პოტენციური უნარი წინააღმდეგობას უწევს ორგანიზმში მავნე ფაქტორების რეალიზებას და მუდმივად განიცდის ფიზიკური სხეულის წვრთნას გარეთა გარემოს სხვადასხვა ფაქტორებთან ბრძოლის პროცესში.



ბავშვის ჯანსაღი სხეულის ჩამოყალიბება ძირითადში იწყება ჩვილის დაბადებისთანავე და მისი სიცოცხლის პირველივე წელს – ბავშვის განვითარების ყველაზე პასუხისაგებ ეტაპზე, განსაკუთრებულად იმ დაბადებულებში, რომლებიც აღმოჩნდა ფიზიოლოგიურად მოუმწიფებელ და დაუძლურებულ მდგომარეობაში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ნაადრევი მშობიარობა, ორსულობის დროს დედის მიერ გადატანილი დაავადებები, დედის ჰიპოკინეზია და სხვაფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ჩვილის განვითარებას მუცლადყოფნის პერიოდში. ამასთან, იმედი არ უნდა დავკარგოთ, რადგან ბავშვის ორგანიზმი სიცოცხლის პირველივე წელს პლასტიკურია, თავისი განვითარებისათვის გააჩნია დიდი პოტენციური შესაძლებლობები, რათა აღადგინოს დაზიანებული ან შეჩერებული ფუნქციები. მნიშვნელოვანია, არ გამოგვრჩეს აღნიშნული დრო, დავეხმაროთ ჩვილს შეეგუოს სიცოცხლის ახალ პირობებს (დედის ორგანიზმის გარეშე), დაძლიოს დარღვევები ჯანმრთელობაში და დაეწიოს თავის განვითარებაში ნორმალურ, ჯანმრთელ ბავშვებს.

დასუსტებული ორგანიზმის ფორმირებისას უდიდეს როლს თამაშობს ბავშვის ადრეული ასაკი (5–8 წლამდე). პედიატრიაში ითვლება, რომ ნერვული სისტემის თავისებურებანი, მორალური განწყობა, ინტელექტუალური განვითარების ნიშნები (სულმცირე 50% შემთხვევაში) სწორედ აღნიშნულ ასაკში ყალიბდება. მაგრამ, ეს მხოლოდ ნიჭიერების გამოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ისშეიძლება განვითარდეს ან იყოს დათრგუნული. ანალოგიურად, ეს ეხება ფიზიკურ განვითარებასაც. მაგალითად, ადრეული შიმშილი ან ზედმეტი რაოდენობის საკვების მიღება ხშირად ადამიანის სიცოცხლის გვიან ეტაპებზე გამოვლინდება.

ცნობილია შემთხვევები, როცა მძიმედ მიმდინარე რაქიტის ადრეული კლინიკური შედეგები მოგვიანებით ასაკში ზემოქმედებას ახდენს ძალზე მრავალ ორგანულ-სისტემურ ურთიერთდამოკიდებულებას, თანაც, თითქოსდაისეთისა, როგორიცაა სრულიად განსხვავებული ძვლოვანი სისტემის დაავადებები და ახლომხედველობისაკენ მომატებული მიდრეკილება. სიბერეში ვლინდება რიგი სხვა მიდრეკილებები: ჰიპერტონიისადმი და გლაუკომისადმი, ავთვისებიანი სიმსივნეებისადმი. თუმცა, უკანასკნელნი შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად დათრგუნული ჯანსაღიც ხოვრების წესის დაცვით. აქ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის რეზერვები ამოუწურავი როდია. ის ადამიანთა უმეტე-



სობას ბავშვობაში არა საკმარისად აქვს მობილიზებული, ასაკთან ერთად განიცდის შემცირებას და ადვილად ქრება ხანდაზმულ ასაკში.

ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესით, ჩვენ ვქმნით ჯანსაღ სხეულს ჯანსაღი სულისათვის. იოგების რწმენით, პიროვნება არის სული, ხოლო მისი სხეული – სულის სახლი. სულისთვის სასიამოვნოა სუფთა სახლში, ე.ი. სუფთა სხეულში ცხოვრება.

ბავშვებს სიცოცხლის პირველ თვეებში, როგორც წესი, აღენიშნებათ: დაქვეითებული კუნთური ტონუსი, ზოგადი მოდუნება, ნაკლებ მოძრაობა. თანდაყოლილი რეფლექსები სუსტად აქვთ გამოხატული. სხვებს კი პირიქით, ორი-სამი თვის ასაკიდან ეწყებათ აღზნებითი პროცესებისსიჭარბე: ერღვევათ ძილი, ემატებათ კუნთების ტონუსი. ამ პერიოდში სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებს ემუქრება რაქიტის – დაავადების განვითარება. რაქიტის მიმდინარეობას ამძიმებს მოძრაობითი აქტივობის დეფიციტი. ამიტომ, ბავშვის ჯანმრ-



თელობის აღსადგენად და შენარჩუნებისათვის საჭიროა დახმარებისათვის მივმართოთ ტანვარჯიშს, მასაჟსა და გაკაჟებას. ყველა სახეობის მასაჟის ჩატარებისათვის აუცილებელია მისი მონაცვლეობა ფიზიკურ ვარჯიშებთან. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ წლამდე ასაკში ყველა ბავშვს ესაჭიროება მასაჟი, ხოლო ერთი წლისზემოთ – მხოლოდ ჩვენებების მიხედვით (დასუსტებულ, ხშირად მოავადმყოფეს). ბავშვის ორგანიზმი სიცოცხლის პირველ წელს განსაკუთრებით გამოირჩევა სიმაღლისა და განვითარების მეტად მაღალი ტემპებით, მაღალი მგრძნობელობით გარემომცველი გარემოს გარეთა პირობებთან. ამის შედეგად ბავშვი ადვილად ექვემდებარება სხვადასხვა ზემოქმედებებს, ხშირად ავადმყოფობს, არაკეთილსასურველ პირობებს მიყავს სიმაღლისა და განვითარების დარღვევებთან. ერთ წლამდ ესასაკის ბავშვების ავადობადამოკიდებულია დაბადების ასარსებული სხეულის მასაზე, კვების ხარისხზე, ყოფით პირობებზე. ბავშვებში 'ჯანმრთელობისინდექსი" კარგიმოვლისას 10-ჯერ მაღალია, ვიდრე ცუდი მოვლისას. რამდენადაც წლამდე ასაკის ბავშვების უმეტესობა აღზრდას გადის სახლის პირობებში, ამ ფაქტორს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ოჯახის პირობებში, ვალეოლოგპედიატრის (რეაბილიტოლოგის) მეთვალყურეობის გარეშე მშობლების მიერ განხორციელებულმა არაორდინალურმა და პარადოქსულმა ქცევებმა ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში, რაც ასახვას პოულობს ხელოვნური კვების მიცემაში, დინამიური ტანვარჯიშის ჩატარებაში, ცივი წყლის გადავლებებში, ჩვილის ცურვა–ყვინთვაში და ა.შ. წარმოადგენს სტრესს, რასაც ბავშვი მიყავს თავის ტვინისა და ფსიქიკის განვითარების დარღვევებთან.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მშობლების მიერ ჩვილის დინამიკური ტანვარჯიშით მეცადინეობების ჩატარება სარისკო საქმეა, რადგან იზრდება ძირს დაცემის შესაძლებლობები, რომლის შედეგი შეიძლება იყოს, როგორც უწყინარი ჩალურჯებული ადგილი, ასევე სერიოზული ქალაშიდა სისხლჩაქცევა და სხვა ტრავმები.

დინამიური ტანვარჯიშის უკუჩვენებას წარმოადგენს მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზია, დაავადება, რომლის დროს არასწორადაა განლაგებული მენჯ-ბარძაყის სახსრის ელემენტები, მომატებულია კუნთების ტონუსი, სახსრებში გაზრდილია მოძრაობის მოცულობა, მიზეზი კი შემაერთებელი ქსოვილის თავისებურებებშია.

არცერთი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური განათლება და შესაბამისი მომზადება, არ დაიწყებს ხიდის შენებას, ქირურგიული ოპერაციების ჩატარებას ან თვითმფრინავის მართვას,მაშინ, როცა ბავშვის აღზრდაში ყველას აქვს პრეტენზია იყოს ამ პროფილის სპეციალისტი, მათ შორის მშობლებსაც. ექიმმა–რეაბილიტოლოგმა ან მანუალურმა თერაპევტმა (სპეციალურად მომზადებულმა სპეციალისტებმა) დროულად უნდა შეაფასოს ჩვილის ფიზიკური მდგომარეობა, წინასწარ განსაზღვროს ყოველდღიური გამაჯანსაღებელი პროცედურების ( მასაჟი და ტანვარჯიში) წინააღმდეგჩვენებები და მოსალოდნელი გართულებები. ადრეული ასაკის ბავშვების ორგანიზმის ფიზიკური წვრთნა დინამიური ტანვარჯიშით იწვევს თანდაყოლილი რეფლექსების წინასწარ „ჩართვას", რომლებიც გენეტიკურად ორიენტირებულია მოსალოდნელი საშიშროებისაგან დასაცავად, ჩვენ, ადამიანები ყოველდღიურად ჩვილს ვუქმნით ღრმა სტრესის გადატანის შესაძლებლობებს და ამით ვნებთ მისი ენერგეტიკული რეზერვების ხანგრძლივ შენარჩუნებას.

ვალეოლოგიური განათლების პირველი ეტაპი იწყება ჩვილის დაბადებისთანავე, რომლის განხორციელებაში უდიდესი როლი ენიჭება მშობელი დედის აღმზრდელობით-პედაგოგიურ ცოდნას ახალშობილის გონებრივ-ფიზიკური აღზრდის პროცესში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის ფსიქოლოგიურ მოტივაციას ჩვილის ჰარმონიულ ფსიქო-მოტორულ განვითარების პროცესს.

დღეს, გადასინჯვას მოითხოვს კლინიკური პედიატრიის მრავალი რეკომენდაციები, რაც ნაწილობრივად არ შეესაბამება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა ფიზიოლოგიის სპეციფიკურ თავისებურებებს. განსაკუთრებით ეს ეხება ადრეული ასაკის ბავშვების ჩართვას აქტიურ მოძრაობაში (საზღვარგარეთელი მეცნიერთა შეხედულებით დასაშვებია სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე), რაც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე დადებით ზემოქმედებას ახდენს. ნავარჯიშები ბავშვები გაცილებით ადვილად ექვემდებარებიან აღზრდის პროცესს, სწრაფად უმუშავდებათ სწორი დინამიკური სტერეოტიპი და მყარად ინარჩუნებენ ორგანიზმის სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს (ცოცვა, ჯდომა, დგომა, სიარული). აქედან გამომდინარე, სპეციალური პროგრამის შედგენით საფუძველი უნდა დაედოს ახალშობილთა ფიზიკური აღზრდის ახალ მეთოდოლოგიას-ნეონატალური ვალეოლოგიის სახით.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის რეზერვები ამოუწურავი როდია, მაგრამ უმეტესობას ისინი ბავშვობაში არასაკმარისად აქვს მობილიზებული. მომწიფებულ ასაკში ეს რეზერვები „თვლემენ" და ყოველივე ამის გამო ადვილად ქრებიან სიბერეში. აქვე, უნდა აღინიშნოს თვალსაჩინო გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ჰეგელის ერთადერთი აზრი, რაც მან გამოიტანა „ხალხის ისტორიიდან" : „თვით ხალხს არ გამოჰქონდა სათანადო გაკვეთილები თავიანთი ისტორიიდან. სამწუხაროდ, ანოლოგიური სიტუაცია ხშირად ეხებოდა ჯანმრთელობას. მასზე ბევრი იწერებოდა, საუბრობდნენ, მაგრამ ცოტანი იყვნენ ისინი, რომლებიც სერიოზულად ზრუნავდა ჯანმრთელობაზე."

ვალეოლოგიური განათლება წარმოადგენს წარმატებული ქვეყნის სავიზიტო ბარათს. იგი დაფუძნებული უნდა იყოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის მოსახლეობის შესაფერის სოციალურ პირობებზე, ჯანდაცვის, სპორტისა და განათლების სისტემების ვალეოლოგიის პრინციპებით დაფუძნებულ რეორგანიზაციაზე, საზოგადოებრივი აზროვნების კულტურასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განხორციელების მოტივაციაზე.


***გ.ჩახუნაშვილი,იგ. დოლიძე***
***(ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია)***




# ქველმოქმედება

ჩვენს მიერ საქველმოქმედო აქციებში გაისინჯა 1980 წლიდან – დღემდე 222 755 ბავშვი. საქველმოქმედო აქციები გრძელდება.

**სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს - 2000-2004 ww.**



საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005წ



გაისინჯა 2006 წლის 20 მაისს ჩაუტარდა საგურამოს ასტომით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს. 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ.ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ღია კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.



2006 წლის 1 ივლისს, ცხინვალის რეგიონში გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია 500-მდე ბავშვს.



საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007



## საქველმოქმედო აქციები მარნეულში, დუშეთში და ახაშენში





თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა

## საქველმოქმედო აქცია რუსთავსა და სამტრედიაში





## საქველმოქმედო აქცია ქაქუცობა 2008



## საქველმოქმედო აქცია ხაშურში 2009



## საქველმოქმედო აქცია ბარისახო 2009



## საქველმოქმედო აქცია კალათბურთელების გასინჯვა 2010



## საქველმოქმედო აქცია ომის მონაწილეთა ოჯახებისა და წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა პანსიონის ბავშვები (დეკანოზი მირიან სამხარაძე) გასინჯვა 2010





## საქველმოქმედო აქცია კარალეთი 2010



## 2010 წლის ღია კარის დღე 04.XII სპორტსმენებთან





## 2011 წლის 1 ივნისს

კონფერენციის ორგანიზატორებსა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა ბავშვთა საქველმოქმედო კონსულტაციები, რომელიც ჩატარდა ბავშვთა ახალ კლინიკაში და გაისინჯა 200-მდე ბავშვი.აგრეთვე მოეწყო აფხაზეთიდან აფხაზ ბავშვთა ნამუშევრების ნახატების გამოფენა და მათ გადაეცათ სერტიფიკატები.

## 2011 წლის 1 ივნისს





## საქველმოქმედო აქცია 24.12.2011. ბავშვთა ახალ კლინიკაში (გაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი)





## 01.06.12. თბილისი





## 27.07.12. თელავი



## 11.08.12. კარალეთი





01.06.13. ბავშვთა დაცვის დღეს აფხაზეთის ჯანდაცვის ერთობლივი აქცია ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკაში – გაიცინჯა 250-ზე მეტი ბავშვი.

## 01.06.13. აქცია აჭარაში



## 2013 წლის 1 ივნისის აქციაში მონაწილეობდა:

**თბილისი** – ირ. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა, პედიატრიის ინცტიტუტი, სადიაგნოსტიკო ცენტრი 444, კარდიოლოგიის ინსტიტუტი შ.პ.ს. „კიდმედი“. **აჭარის რეგიონი 1.** სს „ბათუმის რეფერალური საავადმყოფო” 2. შპს ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა”, 3. შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა”4. შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი”. 5. შპს „ქ. ბათუმის №4 პოლიკლინიკა”. 6. შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი” 7. შპს „მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა” **გორი**–შ.პ.ს.“გორმედი, საქ.საზ. “იავნანა“ გორის დედათა და ბავშვთა ცენტრი **თელავი** – ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი **ქუთაისი** ინტერვენციულ ცენტრში უპასო მიღება 31-ში მთელი დღე მხოლოდ ინვალიდ და მიუსაფარ ბავშვებისათვის. 01.06.13-ში ქუთაისის თითქმის კველა პოლიკლინიკა 1. ქ. ქუთაისის ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი2ქ.ქუთაისის 1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი 3ქ.ქუთაისის შ.პ.ს. „გ.გ“. სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი. აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო.

აქციებში გაიცინჯა 1300-ზე მეტი ბავშვი

## 02.06.13. ბავშვთა დაცვის დღეს შ.პ.ს.”კიდმედში“ ერთობლივი აქციით 300-ზე მეტი ბავშვი გაისინჯა





**საქველმოქმედო აქციებში აქტიურადაა ჩართული სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ა,შ.შ.-ში წარმომადგენელი – ვანიკო ცხომელიძე**

**SPPF representative in The US – Vaniko Tskhomelidze is actively involved in the charity events of the organization**



## უფასო გასინჯვები
## FREE MEDICAL EXAMINATIONS
## 19-20-21.-XII, 2013 10:00-14:00

**(თბილისი-(პროფილაქტიკური გასინჯვები – სპორტსკოლა (მძლეოსნებისათვის), №21 პოლიკლინიკა (დიღომი)-), სპორტსკოლა (კალათბურთელებისათვის)**











2014 წელი ივლისი







21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. დაუნის სინდრომს და აუტიზმს მიეძღვნა კონფერენცია, რომელიც სასტუმრო „სიმპატია"-ში ჩატარდა,ხოლო უცხოელი კოლეგების უშუალო მონაწილეობით სკოლა – სამინარი მშობლაბთან წარმატებით წარიმართა ირ. ციციშვილის სახ. „ბავშვთა ახალ კლინიკაში". კაფორმდა მემორანდუმი სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდს, „მზის შვილებსა" და უცხოელ სპეციალისტებს შორის შემდგომი მჭიდრო ურთიერთობის გასაგრძელებლად. გთავაზობთ მოკლე ფოტოკოლაჟს.



2015წ. 8 თებერვალი. თბილისი. „KINDER CARE"- ღია კარის დღეზე გაისინჯა 50-ზე მეტი ბავშვი



## უფასო გასინჯვები 30.05.2015 11:00-15:00

ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღისადმი მიძღვნილი ღია კარის დღე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ჰემოფილიით დაავადებულ და აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთათვის, (აფხაზეთის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქველმოქმედო ფონდი „თამარიონის" და კოალაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თანადგომით).

ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა (თბილისი, ლუბლიანას ქ 21) – გაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი.





2015 წლის 16 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის □1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული აქციის ჩარჩოებში, უმასპინძლა ბავშვთა ასაკის 14 შშმ პირს ქალაქ ზუგდიდიდან. პაციენტებს, კლინიკის ექიმებმა შეუფასეს პირის ღრუს მდგომარეობა და ჩაუტარეს საჭირო ქირურგიული და თერაპიული სამკურნალო სტომატოლოგიური სამუშაოები. აქცია გაშუქებულ იქნა 2 ქართული სატელევიზიო არხის მიერ. ნორჩი პაციენტები და მათი მშობლები დიდად კმაყოფილები დარჩნენ გაწეული ჰუმანიტარული დახმარებით. მსგავსი ტიპის აქციებს, ტრადიციულად, კლინიკა მომავალშიც მრავლად განახორციელებს.ბატონი დავით ხვედელიანის ინფორმაცია მისასალმებელია და მისაბაძია.დიდი მადლობა პედიატრების სახელით.ჩვენი კონფერენციის ორი „ქების სიგელი" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის □1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ ღირსეულად დაიმსახურა.გილოცავთ ბატონო დავით.





## 2015 წელი

**ირ.ციციშვილის სახელობის "ბავშვთა ახალი კლინიკამ და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდთან ერთად" ჩხოროწყუს რამოდენიმე სოფელში პაციენტების უფასო გასინჯვები გამართა**

5 და 6 დეკემბერს "ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის" სხვადახვა პროფილის პედიატრები ჩხოროწყუს და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას უფასო კონსულტაციები ჩაუტარდა. 20-მდე სხვადასხვა პროფილის ექიმმა (კერძოდ,ბავშვთა-ქირურგის, პედიატრის, ნევროლოგის, ტრავმატოლოგის, ოფთალმოლოგის, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგის პროფილით). ორი დღის განმავლობაში 1300-ზე მეტი პაციენტს ჩაუტარა კონსულთაცია. საჭიროების შემთხვევაში მძიმე პაციენტებს შესაბამისი მკურნალობა და გამოკვლევები თბილისში "ბავშვთა ახალ კლინიკაში" გაუგრძელდათ.ჩატარდა ექიმებისათვის ლექციებიც.









## 2015-2016 წელი











პროექტი: „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე" დაწყებულია (იხ.3 გვ.)





http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/374288-devnil-skolis-mostsavleebs-miznobrivi-profilaqtikuri-gasinjvebi-chautardath.htm

თბილისის დევნილთა მე-2 და მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიზნობრივი პროფილაქტიკური გასინჯვები ჩაუტარდათ. გამოკვლევები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს "ბაზის" აღდგენით ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა და მოზარდების აღნაგობის დარღვევის გამოსავლენად საჭირო სპეციფიკური გასინჯვებს ითვალისწინებდა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, ასევე, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე და მინისტრის მოადგილეები - მარინა ონიანი და თენგიზ კვირტია ესწრებოდნენ. ღონისძიების დროს გაისინჯა თბილისის დევნილთა მე-2და მე-3 საჯარო სკოლის 200 მოსწავლე. დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით, მოსწავლეების 70%-ს სქოლიოზი დაუდგინდა, ასევე, გამოვლინდა გულის მანკის ერთი შემთხვევა. გასინჯვების დროს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოზარდებში აღმოჩენილ სქოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის შემთხვევებს, ქალაქ თბილისის მერიის პროგრამის ფარგლებში შპს „ბაზის" მაღალკვალიფიციური ექიმები, უფასო აღდგენით თერაპიასა და მკურნალობას ჩაუტარებენ.





# პროექტი ზრუნვა ბავშვთა სრულფასოვან კვებაზე

## (CARE OF CHILDRENS PERFECT NUTRITION)

*დასასრული. დასაწყისი მე-3 გვ.*

ნობრივსა და თვისებრივს. ამას გარდა დაკავებული არიან აკადემიური მუშაობით.

ჩვენი ამოცანაა ნათელი მოვფინოთ ქვეყნის მასშტაბით მშიერი ბავშვების რიცხვობრიობას, შემდგომ კი ვეძიოთ გზები მათი ჰოსპიტალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის. პრობლემა უნდა განხილულ იქნეს სახელმწიფოს დონეზე. ჩვენი წინასწარი ვარაუდით მოსალოდნელია ჯანდაცვისა და სოციალური სუფსიდირების სფეროში ცალკეული საკანონმდებლო რეფორმების გატარება. ამას მომავალი გვიჩვენებს. წინ კი კეთილშობილური, მასშტაბური და საკმაოდ რთული სამუშაოები გველის.

პროექტს „ზრუნვა ბავშვთა სრულფასოვან კვებაზე“ გახსნილად ვაცხადებთ.

პატივისცემით, — **„სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი“ პროექტით** — „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“ და „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“

P.S. კვლევაში ინტერვიუერების სახით ჩართული იქნებიან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები. კვლევა იქნება სამდონიანი: 1) ანკეტირებული გამოკითხვა. 2) ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვა. 3) ექსპერტული გამოკითხვა. ასევე რამოდენიმე ჩაღმავბული ინტერვიუ. გამოკითხულ იქნება თბილისის მასშტაბით 1500 რესპოდენტი, სრულიად საქართველოს მასშტაბით კი 4000. პროექტი გაიტანება დასაფინანსებლად სხვადასხვა სტრუქტურებში.

*შორენა კორტავა,*
*ფილოსოფიის დოქტორი;*
*ირაკლი კალანდაძე,*
*სოციოლოგიის მაგისტრი;*

არასამთავრობო ორგანიზაცია სიცოცხლის გადასარჩენად
Non - Governmental Organization FOR SAVING LIFE

**1.22.10.15. 14.30.** პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. ძალიან დიდი ძალა აქვს ახალგაზრდობას. არასამთავრობო ორგანიზაციამ „სიცოცხლის გადასარჩენად / For Saving Life“ კიდევ ერთი შეხვედრა ჩაატარა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტობასთან, სადაც დღის წესრიგში ისევ იდგა, რომ „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ და, რომ ყველა დედამ და მითუმეტეს ახალგაზრდა დედამ გაიაზროს ყოველივე და შეგნებულად თქვას უარი აბორტზე, ამ ეტაპზე პირველ ორსულობაზე მაინც. ვფიქრობთ მოვა დრო და მოსახლეობის მკაცრი მოთხოვნა იქნება აღნიშნული პრობლემის ცივილიზებური გადაჭრა

**2. 19.11.15. 15.00.** თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი. ცისფერი დარბაზი.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შინაარსიანი შეხვედრა ჰქონდა არასამთავრობო ორგანიზაციას „სიცოცხლის გადასარჩენად”, რომელიც 2015 წლის 27 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი აბორტების საწინააღმდეგო კამპანიების ჩატარება და მოსახლეობის განათლების და ცნობიერების დონის ამაღლებაა ამ პრობლემასთან დაკავშირებით. წარმატება უსურვოთ ახალგაზრებს ამ მამულიშვილური საქმის „აგორებაში“




**3. 08.12.15.** შეხვედრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმჭიფო უნივერსიტეტში

**4. 15.04.2016. 13.00.** სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი. არასამთავრობო ორგანიზაციის“სიცოცხლის გადასარჩენად“ მორიგი გასვლითი შეხვედრა განიხილებოდა ჩანასახშივე ბავშვის უფლება და მისი დაცვის პერსპექტივა. აგრეთვე მნიშვნელობანი — 1 აბორტის საკითხი. შეხვედრას ლეიტმოტივად გასდევდა:

სკოლის ასაკში დიდი სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა 1 აბორტთან დაკავშირებით.

ახალგაზრდობაში ინფორმაციის სრულყოფა. კერძოდ, 1 აბორტის შემდეგ, უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ შემდგომში დაორსულება დიდი რისკის წინაშე დგება და ეს რისკი მით უფრო საგანგაშოა, რაც უფრო ასაკი 20 წელზე ნაკლებია, თუმცა ის არც 20 წლის ზემოთ გოგონებშია ნაკლები.

აქედან გამომდინარე შეიძლება მწვავედ აეხსნათ მომავალ დედებს:

— მათ 1 აბორტის საფასურად უღირთ,რომ შემდგომში დაკარგონ დედობის უფლება და არა ერთჯერ, ანუ გახდნენ სულ მცირე ერთი,ორი ბავშვის დედა, დაკარგონ მრავალშვილიანი დედის სტატუსის პერსპექტივა, რომელიც ჩვენს სამშობლოს ასე ჭირდება (როგორც ცნობილია საქართველო 2050 წლის იმ სახელმწიფოების რიხვშია,რომელსაც კატასტროფული რიცხობრივი კლება ელოდება).

— დაკარგონ დედობის პერსპექტივა სამუდამოდ.

ასე,რომ შეხვედრამ შინაარსიანად ჩაიარა და მის მონაწილეებს ბევრ კითხვაზე დარჩა პაცუხი ფუნდამენტალურად გასაცემი. ვფიქრობთ ახალგაზრდობა ღირსეულ გადაწყვეტილებებს და დასკვნებს გააკეთებს.დღევანდელ ახალგაზრდობას ეს ნამდვილად შეუძლიათ.

გვახსოვდეს !!!

ყველას აქვს დედობის უფლება

დავიცვათ მომავალი დედის უფლება

ახალგაზრდობას შევუნარჩუნოთ დედობის უფლება

შეხვედრები გრძელდება

ყველას ახსოვდეს — „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული”










# „საქართველო 2050. საქართველოს განვითარების სტრატეგია“

31 მარტი 14:00 სთ 2016 წელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში წიგნის „საქართველო 2050. საქართველოს განვითარების სტრატეგია” წარდგინება გაიმართა.

წიგნი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებიდან 25 წლისთავს. მთავარი რედაქტორია პროფესორი ომარ ქუცნაშვილია. წიგნი მოგვითხრობს საქართველოს განვითარების მიზნების სწორად ჩამოყალიბებაზე, თითოეული მიზნის მიღწევისთვის დროის შუალედების განსაზღვრასა და კონკრეტული ამოცანის დასახვაზე.









# სპორტის, მედიცინისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვის საფუძველი დაძრულია





ქ. თბილისის მაცხოვრებელ 4 წლიდან 16 წლის ასაკამდე ბავშვებს აქვს შესაძლებლობა პროგრამის „ორთოპედიული დაავადების სკრინინგი და აღდგენითი თერაპია“ მიიღოს თითქმის უფასო სამედიცინო მომსახურება სკოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის მიმართულებით.

## დღეისათვის 2225-ზე მეტ სკოლაში 200-ზე მეტი ექიმია ვარაუდობთ მის სწრაფ ზრდას. ამდენად, ყურადღება

### სკოლის ექიმს მოეთხოვება

**1. სკოლაში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენაზე ზრუნვა კერძოდ,**

- ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების დინამიკაზე
- სასწავლო პროცესის ჰიგიენა-რეჟიმზე კონტროლი (გაკვეთილების რაოდენობა-ხანგრძლივობა, დასვენებები, ჰაერის განიავება და ა.შ.)
- კვების ჰიგიენა.
- დეზინფექციაზე, დერატიზაციაზე, დეზინექციაზე.
- სანიტარულ-ტექნიკური ნორმების დაცვა (გათბობა, განათება, წყლით მომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია).
- სკოლის აღჭურვილობით ჰიგიენური ნორმების დაცვა (მერხი, ლაბორატორიული მოწყობილობები, სპორტ დარბაზის აღჭურვილობა და ა.შ.
- სკოლის სახელმძღვანელოების ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- შენობათა ადგილმდებარეობის ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლებისკენ.
- და სხვა ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში.

**2. სპორტული ტრავმების პროფილაქტიკაზე ზრუნვა.**

**3. სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებულ ბავშვთა და მოზარდთა ეფექტური საექიმო კონტროლის წარმოება.**

**4. ყოველგვარი I-დი სამედიცინო დახმარების გაწევა.**

**5. ბავშვთა და მოზარდთა დაავადებების პროფილაქტიკა.**

**6. უეცარი სიკვდილის თავიდან აცილება (Q-T ინტერვალის გახანგრძლივება, ინფექციურ და ვირუსულ დაავადებათა შემდგომი არითმიის გამოვლენა და ა.შ.)**

**7. სკოლაში ეპიდრეჟიმზე კონტროლი**

### სკოლის ექთანს მოეთხოვება

**1.ზოგადი ექთნის სტატუსით გათვალისწინებული მოვალეობები;**

**2.დამატებით „ფიზიოთერაპევტის” ფუნქციები.**

# სკოლიოზის პროფილაქტიკა

### ტანადობის დარღვევის გამოსასწორებელი ვარჯიშებია:

**1)** საწყისი პოზიცია – დავწვეთ ზურგზე გაშლილი ხელებით ისე, რომ ვეყრდნობოდეთ კეფას, ხელებს და მენჯს. გულმკერდი ზევით ავწიოთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

**2)** საწყისი პოზიცია – დავდგეთ მუხლებზე ისე რომ ხელები ზურგს უკან ჩავჭიდოთ წვივებს ტერფთან ახლოს. გულმკერდის არეში მკვეთრად გადავიხაროთ უკან თავის უკან გადახრით, მენჯის წინ წამოწევით და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

**3)** საწყისი პოზიცია – დავწვეთ მუცელზე, იდაყვში მოხრილი ხელები დავიდოთ თავს უკან ხელისგულებით კეფაზე, ტერფები შევაწყოთ კარადის, ან რაიმე საგნის ქვეშ დასაფიქსირებლად. სხეული გულმკერდის არეში ავწიოთ და გადავხაროთ რაც შეიძლება ზევით და უკან, იდაყვები გავშალოთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

**4)** საწყისი პოზიცია – დავჯდეთ სკამზე იდაყვში მოხრილი ხელები დავიდოთ თავს უკან ხელისგულებით კეფაზე, სხეული გულმკერდის არეში გადავხაროთ რაც შეიძლება უკან, იდაყვები გავშალოთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

**5)** საწყისი პოზიცია – დავწვეთ მუცელზე, ხელები მოვხაროთ დახელისგულებით დავეყრდნოთ იატაკს. ხელების გაშლით ავიწიოთ გულმკერდით ისე, რომ მენჯით კვლავ იატაკს ვეყრდნობოდეთ, თავი რაც შეიძლება უკან გადავხაროთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

**6)** საწყისი პოზიცია – დავწვეთ ზურგზე, ფეხებსა და ხელებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად გავაკეთოთ ხიდი და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

**7)** საწყისი პოზიცია – დავდგათ 2 სკამი ერთმანეთისადმი ზურგით, დავდგეთ მათ შორის მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხებით და ისე, რომ გაშლილი ხელები ეხებოდეს სკამის საზურგეს. სხეულს ვხრით ჰორიზონტალურ პოზიციამდე ზევით-ქვევით მაღლა აწეული თავით. სუნთქვა თავისუფალი. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.







### ვარჯიშები ტანვარჯიშული ჯოხის საშუალებით

**1.** ს.მ. სწორი დგომა, ჯოხი ჰორიზონტალურად, თვლაზე ერთი აგვაქვს ჯოხი თავს ზემოთ, თვლაზე ორი საწყისი მდგომარეობა. სრულდება10-ჯერ.

**2.** ს.მ. სწორი დგომა, ჯოხი ჰორიზონტალურად, თვლაზე ერთი ჯოხისა და ფეხის გადატანა უკან. ვასრულებთ მონაცვლეობით 10-12-ჯერ.

**3.** ს.მ. სწორი დგომა, ჯოხი ჰორიზონტალურად, თვლაზე ერთი წინ ვარდნა ერთ ფეხზე, ჯოხი თავს ზემოთ გადადის. თვლაზე ორი ს.მ. თვლაზე სამი ვარდნა მეორე ფეხზე, ოთხი ს.მ. 10-ჯერ.

**4.** ს.მ. ჯოხი ზურგზეა დაფიქსირებული. ვასრულებთ წინ ზნექებს. 10-15-ჯერ;

**5.** ს.მ. ჯოხი ვერტიკალურად წინ მოვათავსოთ. ვასრულებთ ჩაჭიმვებს ჯოხზე 10-ჯერ.

### კონსერვატიული მკურნალობის ძირითადი პრინციპებს ეკუთვნის ზოგადი რეჟიმის დაცვა:

**1 – ხანგრძლივი ძილი.**
**2 – ფიზიკური დატვირთვისა და მოსვენების მონაცვლეობა.**
**3 – გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.**
**4 – რაციონალური კვება.**
**5 – სეირნობა და თამაში სუფთა ჰაერზე.**
**6 – დღისით, სკოლის შემდეგ დასვენება.**

### სამკურნალო სასპეციფიური ღონისძიებები +15:

1 – სამკურნალო ვარჯიში(კინეზოთერაპია)
2 – სამკურნალო ცურვა(აქვათერაპია)
3 – სამკურნალო მასაჟი
4 – ფიზიოთერაპია,ზურგისა და მუცლის კუნთების ელექტროსტიმულაცია ხერხემლის მასაჟი და სამკურნალო ვარჯიშები სკოლიოზის სამკურნალოდ.

# სასარგებლო ინფორმაცია!

ქ. თბილისის მაცხოვრებელ 4 წლიდან 15 წლის ასაკამდე ბავშვებს აქვს შესაძლებლობა პროგრამის „ორთოპედიული დაავადების სკრინინგი და აღდგენითი თერაპია“ მიიღოს თითქმის უფასო სამედიცინო მომსახურება სკოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის მიმართულებით. უკვე მიმდინარეობს ბავშვთა სკრინინგ გასინჯვები კონტიგენტის შესარჩევად და ა/წ 1 აპრილამდე სამკურნალო ჯგუფების დაკომპლექტება. გაიარეთ რეგისტრაცია და დროულად ჩავატაროთ საჭირო სამედიცინო პროფესიონალური მკურნალობა. მისამართია შ.პ.ს. „ბაზი“ აღდგენითი თერაპიის ცენტრი -ლუბლიანას ქ.N 21 (დიღომი, ძველი ჟვანიას სახ. ბ/საავადმყოფოს ტერიტორიაზე) ტელ.599 52 77 55 e-mail bazi2015@yahoo.com





# მარადისობაში გადასული სიცოცხლე

## გახსენება



17 აპრილს მადლიერი საექიმო საზოგადოება ღრმა გულისტკივილით გამოეთხოვა ცნობილ ექიმს-ბავშვთა ქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ გურამ გაბუნიას, რომელიც ნამდვილად დააკლდა არამარტო თავის ოჯახსა და სანათესაოს, არამედ უამრავ მეგობარს, პროფესიულ დაოსტატებაში მის მიერ კვალდამჩნეულ ყოფილ მოწაფეებს, შემდეგ კი მის უმცროს კოლეგებს, მრავალრიცხოვან ყოფილ პაციენტებს, რომელთაც არასოდეს დაავიწყდებათ მისი გულისა და ხელების სითბო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1962 წ.). იგი მარტვილის რაისაავადმყოფოს ქირურგად ყოფნის შემდეგ (1962-63 წლები), პროფესიულ მუშაობას განაგრძობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოს ქირურგ-ორდინატორად (1965-66 წლები). 1966-69 წლებში იყო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის ასპირანტი, რომლის დასრულების შემდეგ, 1970 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: "მწვავე ჰემატოგენური ოსტეომიელიტის ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა ბავშვთა ასაკში". 1970-75 წლებში იყო ბავშვთა ქირურგიის კათედრის ასისტენტი, ხოლო 1995 წლიდან, სანამ ჯამრთელობის მდგომარეობა ამის ნებას აძლევდა, ამავე კათედრაზე ეწეოდა დოცენტის პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას.

ბატონმა გურამმა წლების განმავლობაში მოსკოვისა და ლენინგრადის წამყვან კლინიკებში რამდენჯერმე წარმატებით აიმაღლა კვალიფიკაცია ბავშვთა ქირურგიის განხრით. სახელმწიფო სერტიფიკაციისა და ლიცენზიების მიმნიჭებელი საბჭოს მიერ აღნიშნულ სპეციალობაში მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო სერთიფიკატი.

იგი სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკის რეგიონებში ბავშვთა ჯამრთელობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ორგანიზებულ საქველმოქმედო გასვლებში.

ბატონი გურამი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიოერო მუშაობას. მის მიერ სამეცნიოერო ჟურნალებში თანაავტორებთან ერთად გამოქვეყნებულია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ბავშვთა ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე; წარმატებით მონაწილეობდა ბავშვთა ქირურგების სამეცნიერო კონფერენციებში (მოსკოვი, ლენინგრადი, ალმა-ათა, ბაქო, ერევანი, რიგა, ფრუნზე, უფა, ვილნიუსი), აგრეთვე ბავშვთა ქირურგიის საკითხებისადმი მიძღვნილ სტუდენტურ კონფერენციებში, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი.

ბატონი გურამი-საოცარი პიროვნული ხიბლის მქონე, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული, მუდამ სიკეთისთვის შემართული, მეგობრების უშურველად მოყვარული, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი პიროვნება-ამავე დროს იყო მოსიყვარულე მეუღლე, გულისხმიერი მამა შვილებისათვის, დაუვიწყარი ბაბუა და დიდი ბაბუა შვილიშვილებისა და შვითაშვილებისათვის.

სამწუხაროდ ბედმა არ ინება, რომ ბატონ გურამს აღენიშნა თავისი 80 წლის იუბილე, მაგრამ მისი მონაგარისათვის, მისი გულწრფელად მოყვარული ბევრი ადამიანისათვის 5 აგვისტო დარჩება წინასაალდგომო დღეებში მარადისობაში გადასული "ბაბუს" (როგორც მას უწოდებდნენ კოლეგები, განურჩევლად ასაკისა) ხსოვნა-მოგონების დღედ.

***მეგობრების დიდი ჯგუფი და რედაქცია***





დაბადების წელი, თვე და რიცხვი – 1954. 04.04

განათლება – უმაღლესი

**განათლება:**

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტი (უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომი A-I-N 146771) – 1971-1977 წლები.

– სახელმწიფო სერტიფიკატი – პედიატრია №11315-2001 წელი.

სახელმწიფო სერტიფიკატი – საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ორგანიზაცია №33438 – 2004 წელი.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი №017791 – 1983 წელი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი №008003 – 1997 წელი.

გამოქვეყნებულია 41 სამეცნიერო ნაშრომი, ერთი მონოგრაფია და „რაციონალური წინადადება".

Institute of Leadership Management – Oxford Policy Management" საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ორგანიზაცია – სერტიფიკატი № 080047076609 – 27.03.2008 წელი.

**სამუშაო გამოცდილება:**

01.09.1977-12.11.1979 წწ. – ექიმი-ორდინატორი ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოში – ქ. თბილისი, რკინიგზის საავადმყოფო, თევდორე მღვდლის ქუჩა.

01.11.1979-01.03.1983 წწ. – ექიმი-ასპირანტი (მიზნობრივი) საკავშირო სამედიცინო აკადემიის პედიატრიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის კარდიოლოგიური განყოფილებაში, ქ.მოსკოვი, ლომონოსოვის პროსპ. №62.

01.03.1983-30.01.1992 წწ. – კათედრის ასისტენტი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრაზე – ქ. ბილისი, დიღომი, ბავშვთა №2 საავადმყოფო.

01.09.1990-01.09.1993 – პედიატრიის სამეცნიერო-კვლევიტი ინსტიტუტი, კარდიოლოგიური განყოფილება,ქ.მოსკოვი, ლომონოსოვის პროსპ. №62, მიზნობრივი დოქტორანტი.

01.09.1993-01.09.1997 წწ. – ექიმი სამუშაო ადგილზე რუსეთის სამედიცინო აკადემიის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კარდიოლოგიურ განყოფილებაში,ქ.მოსკოვი, ლომონოსოვის პროსპ. #62.

18.10.1993-31.12.1995 წწ. – ექიმი-პედიატრი (შეთავსებით) რუსეთის სამედიცინო აკადემიის ა.ნ. ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარ-



# ვლადიმერ ზარდალიშვილი

რვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო კონსულტაციურ განყოფილებაში – ქ.მოსკოვი, ლენინის პროსპ. №2

17.03.1997-15.06.1999 წწ. – უფროსი მცნიერ თანამშრომელი რუსეთის სამედიცინო აკადემიის ა.ნ.ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქრურგიის სამეცნიერო ცენტრის რენტგენო-დიაგნოსტიკურ განყოფლებაში – ქ.მოსკოვი, რუბლიოვის გზატკეცილი №135.

16.03.2000-09.08.2004 წწ. – დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამმართველოს უფროსი ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის საქალაქო სამსახურში – მიცკევიჩის ქ. №29ა.

09.08.2004 წლიდან დღემდე – შპს ქ.თბილისის მერიის „ბავშვთა №3 პოლიკლინიკის" დირექტორი, რევაზ ლაღიძის ქ. №2, ამამად შპს „სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის „შუა ქალაქში" გენერალური დირექტორი.

**მოკლევადიანი სასწავლო კურსები, სემინარები და სერტიფიკატები:**

დახელოვნების ციკლი პიროგოვის სახელობის მე-II სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტზე სპეციალობით „ბავშვთა დაავადებები გამომთვლელი ტექნიკით" (242 საათი, სერტიფიკატი №212/67 – 21.03.1986-29.03.1986 წელი, ქ.მოსკოვი.

ორ (2) თვიანი დახელოვნების ციკლი „გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებეის დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ფილტვების ობსტრუქციული დაავადებები" – რუსეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექიმთა დახელოვნების ფაკულტეტის ფუნქციური დიაგნოსტიკის კათედრა, (სერიფიკატი დიპლომისათვის №46771-I), მოსკოვი, 1995 წ.

ლექციების სრული კურსი „ბავშვთა ასაკის კარდიორევმატოლოგიაში" – (72 საათი) რუსეთის სამედიცინო აკადემიის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მოსკოვი, 20.02.1995 წელი.

რუსეთის სამედიცინო აკადემიის პედიატრიული პროფილის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით – უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია სპეციალობით „პედიატრია" (შესაბამისი სერტიფიკატებით), 1997 წელი.

„ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები" – სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი, უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრი, ბორჯომი №03495-10.10.2003; თბილისი №03871-24.04.2004; №03978-22.04.2005 წწ. (ყოველწლიურად 50 კრედიტ საათი)

სახელმწიფო სერტიფიკატი (II ა 72 №33438) სპეციალობაში „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ორგანიზაცია" – 13.10.2004 წელი.

მოწმობა №04514 – „ზოგადი კურსი ჯანდაცვის მენეჯმენტში" 50 კრედიტ-საათი – სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი, უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრი, თბილისი, 8 ივლისი, 2006 წელი.

სერტიფიკატი უსგ №277 – „პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ფინანსური მენეჯმენტი" – 15 I ტიპის უპგ ქულა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 20.12.2006 წელი.

„ღვიძლისა და სანაღველე გზების დაავადებები ბავშვთა ასაკში: დიაგნოსტიკა, მართვა" (სერტიფიკატი №279 – 09.12.2005 წელი, 25 კრედიტ-საათი), საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია. თბილისი.

„ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობა –


CERTIFICATE OF ACHIEVEMENT
THE UNIVERSITY OF SCRANTON
AND
THE GEORGIA STATE UNIVERSITY
VLADIMER ZARDALISHVILI

პრობლემები და პრიორიტეტები" (სერტიფიკატი № 0030 – 08.05.2006 წელი, 15 უპგ ქულა), I საერთაშორისო კონფერენცია და სკოლა-სემინარი „მოზარდთა გლობალური მედიცინა". თბილისი.

„მწვავე მოწამვლები: სიმპტომატიკა, პირველადი დახმარება, გართულებები, სპეციფიკური მკურნალობის პრინციპები ბავშვთა ასაკში" (სერტიფიკატი №866 – 02.06.2006 წელი, 25 I ტიპის უპგ ქულა), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, თბილისი.

„პროფესორ ა.კობალაძის სახელობის ყოველწლიური სამედიცინო კონფერენცია" (სერტიფიკატი №48-06.06.2006 წელი, I ტიპის 10 უპგ ქულა), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია, თბილისი.

„საჭმლის მომნელებელი სისტემის ზოგიერთი ფუნქციური დარღვევის და გენეტიკური დაავადებების მართვის თანამედროვე ასპექტები პედიატრიაში" (სერტიფიკატი №006221 – 03.02.2007 წელი, 25 კრედიტ-საატი), ი.ფაღავას სახ. პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი.

„პედიატრიული ტუბერკულოზის დიაგნოსტიისა და მართვის თანამედროვე პრინციპები" (სერტიფიკატი №006109 – 17.02.2007 წელი, 20 კრედიტ საათი), მ.იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, თბილისი.

„ვიტამინისმაგვარი ნივთიერებების როლი სხვაადსხვა დაავადებების დროს" – საქართველოს ნუტრიციოლოგიის ასოციაციის სერტიფიკატი, სახელმწიფო აკრედიტაციის №007309, 10 I ტიპის უპგ ქულა, 15.11.2007 წელი.

„ნაწლავთა შეწოვის ფუნქციის დარღვევით მომდინარე დაავადებათა მართვის თანამედროვე მეთოდები" – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, სახელმწიფო აკრედიტაციის №007309, 10 I ტიპის უპგ ქულა, თბილისი 16-17.11.2007 წელი.

ჩვენი ვოვა წლების განმავლობაში ასრულებდა ჟურნალებში: „ბავშვთა კარდიოლოგია" და „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია" თავის მოვალეობას,როგორც რედკოლეგიების აქტიური წევრი და ქართელ პედიატრეიაში თავის სიტვას ამბობდა.

მართლაც, რომ ჩვენთვიც მწარედ სათქმელია ჩვენთვის – ღმერთმა გაანათლოს.

***შენი გულდაწყვეტილი მეგობრები***

ბავშვთა ახალი კლინიკა
247 04 01 CHILDREN'S NEW CLINIC

## საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
**Georgian Children's Cardiologists Association**

# SOS!

### დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

**საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:**

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთხელ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 2,5 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
EVEX MEDICAL CORPORATION

2015 წლის სექტემბერ/ოქტომბერში წაკითხულია კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები - (სულ 4-ლექცია), სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთათვის. აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის. შესაძლებელია მსურველებს პრეზენტაციები ჩაგაწერინოთ.

*(„ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა“ - ლუბლიანას ქ. 21. დიღომი)*

რა თქმა უნდა,როგორც ყოველთვის,
ეს იქნება საჩუქრის სახით.

(სასურველია წინასწარ შემითანხმდეთ – პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი)


















## სასარგებლო ინფორმაცია!

ქ.თბილისის მაცხოვრებელ 4 წლიდან 15 წლის ასაკამდე ბავშვებს აქვს შესაძლებლობა პროგრამის „ორთოპედიული დაავადების სკრინინგი და აღდგენითი თერაპია“მიიღოს თითქმის უფასო სამედიცინო მომსახურება სკოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის მიმართულებით. უკვე მიმდინარეობს ბავშვთა სკრინინგ გასინჯვები კონტიგენტის შესარჩევად და ა/წ 1 აპრილამდე სამკურნალო ჯგუფების დაკომპლექტება. გაიარეთ რეგისტრაცია და დროულად ჩავატაროთ საჭირო სამედიცინო პროფესიონალური მკურნალობა.

**მისამართი:**

შ.პ.ს. „ბაზი“ აღდგენითი თერაპიის ცენტრი-ლუბლიანას ქ.N 21 (დიღომი, ძველი ქვანიას სახ. ბ/საავადმყოფოს ტერიტორიაზე)

ტელ.: 599 52 77 55
E-mail bazi2015@yahoo.com

არასამთავრობო ორგანიზაცია
**სიცოცხლის გადასარჩენად**
Non - Governmental Organization FOR SAVING LIFE

არასამთავრობო ორგანიზაციის „სიცოცხლის გადასარჩენად“ კამპანიას, რომლის მიზანიცაა მოქალაქეთა ინფორმირებულობა აბორტის მავნებლობის შესახებ - კერძოდ რა საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობას აბორტი და რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს მან მხარი დაუჭირა ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა“ და უზრუნველყო, რომ ავერსის ყველა სააფთიაქო ქსელში განთავსდეს აბორტის თემასთან დაკავშირებით საინფორმაციო ხასიათის პოსტერები და ბუკლეტები, ასევე ორგანიზაციამ ამ პრობლემასთან დაკავშირებით შეხვედრები მოაწყო სხვადასხვა უნივერსიტეტში სტუდენტებთან და უჩვენა მათ ამ თემატიკაზე ტელეკომპანია GDS-ის მიერ შექმნილი ფილმი.

მთავარი რედაქტორი: *გ. ჩახუნაშვილი*
მოადგილე: *თ. მიქელაძე, ნ. ჯობავა, გ. ძნელაძე*
სარედაქციო საბჭო: – *ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ბ. ზენაიშვილი, ნ. კვირკველია, ქ. ჩახუნაშვილი, მ.წილოსანი, ზ. შაქარაშვილი, ა. სარჯველაძე, ნ. თოთაძე.*

მისამართი:
ლუბლიანას ქ. 21
ტელ.: 47-04-01
www.sppf.info

გასაყიდად არ ვრცელდება

ISSN 1987-9849